

კულტურული ტრავმა და კოლექტიური მეხსიერება აღმოსავლეთ
ევროპელი მწერლების ფრანგულენოვან ტექსტებში (აგოტა კრისტოფის
„მცირემცოდნე“ და „ტყუპების ტრილოგია“, მილან კუნდერას „უმეცრება“)

მარიამ მორჩილაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

რომანული ფილოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მზალო დობტურიშვილი, ემერიტუს-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მორჩილაძე

12.01.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი არეალია აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი კომუნისტური ქვეყნებიდან ემიგრირებული მწერლების - აგოტა კრისტოფისა და მილან კუნდერას - ფრანგულენოვანი ტექსტების შეპირისპირებითი ანალიზი კულტურის კვლევის, მეხსიერების კვლევისა და რეცეფციის ესთეტიკის თეორიებზე დაყრდნობით.

აგოტა კრისტოფისა და მილან კუნდერას ტექსტებში კულტურული ტრავმის, კოლექტიური მეხსიერებისა და სხვადასხვა ტიპის მკითხველის ანალიზი ხორციელდება მორის ჰალბვაქსის, იან ასმანის, ჰანა არენდტის, ემილ ჩიორანისა და ჰანს იაუსის თეორიებზე დაყრდნობით.

წინამდებარე კვლევა ასახავს, როგორ შეძლო უნგრელი აგოტა კრისტოფისა და ჩეხი მილან კუნდერას მიერ არჩეულმა სამწერლობო ენამ - ფრანგულმა - აღმოსავლეთ ევროპული სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტისა და საზოგადოების კულტურული ტრავმისა და კოლექტიური მეხსიერების გადმოცემა.

საკვანძო სიტყვები: კოლექტიური მეხსიერება, კულტურული ტრავმა, ტოტალიტარული სისტემა, რკინის ფარდა, ემიგრაცია, მკითხველი

Abstract

The research area of the above-mentioned Master's Thesis is the comparative analysis of the French-language texts of the writers who emigrated from the former Communist countries of Eastern Europe - Agota Kristof and Milan Kundera - based on the theories of cultural studies, memory research and reception aesthetics.

The analysis of cultural trauma, collective memory and different types of readers in the texts of Agota Kristof and Milan Kundera is carried out based on the theories of Maurice Halbwachs, Jan Assmann, Hannah Arendt, Emil Cioran and Hans Jauss.

The present study illustrates how the written language chosen by the Hungarian Agota Kristof and the Czech Milan Kundera - French - was able to convey the East European socio-political context and convey the cultural trauma and collective memory of the society.

Keywords: Collective Memory, Cultural Trauma, Totalitarianism, Iron Curtain, Immigration, Reader

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს, ქალბატონ მზალო დობტურიშვილს აკადემიური დახმარებისა და მორალური მხარდაჭერისთვის. მისმა სალექციო კურსმა, „თანამედროვე ფრანგულენოვანმა ლიტერატურამ“, გამიღვივა ინტერესი საფრანგეთის ფარგლებს გარეთ შექმნილი ფრანგულენოვანი ლიტერატურის მიმართ.

მინდა, ასევე, დიდ მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რომლებიც მუშაობის პროცესში გვერდში მედგნენ, მამხნევებდნენ და მხარს მიჭერდნენ.